საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/28

ქ.თბილისი „30" დეკემბერი 2014 წ

**რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის სრული კომპლექტაციის შეძენისთვის, ერთიანი სრულყოფილი ტექნიკური მოთხოვნების შემუშავებისა და სატენდერო წინადადებების მომზადების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის უკეთ მოწყობის უზრუნველყოფისთვის, რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის სრული კომპლექტაციის შეძენისთვის, ერთიანი სრულყოფილი ტექნიკური მოთხოვნების შემუშავების მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის 1–ლი და მე–5 პუნქტების შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) კახი ბექაური – კომისიის წევრი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) სერგო შავგულიძე – რადიოსიხშ. მართვის დეპარტ. უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე);
გ) ნოდარ ასპანიძე – რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
დ) თემურ ძაგნიძე – რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ე) რომან ქურდაძე – რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამტის წამყვანი სპეციალისტი;
ვ) ზურაბ გუძუაძე – რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამტის უფროსი ინჟინერი;
ზ) გრიგოლ სულუხია – ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
თ) პავლე ბერია – სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ი) იოსებ აბულაძე – საფინანსო დეპარტამენტის უფროსი;

2. სამუშაო ჯგუფში ტექნიკური მოთხოვნების შემუშავების კუთხით, საჭიროების მიხედვით, მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალისტები, დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

3. სამუშაო ჯგუფმა 2015 წლის 05 თებერვლამდე უზრუნველყოს ერთიანი სრულყოფილი ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება და წარმოდგენა;

4. სამუშაო ჯგუფმა 2015 წლის 25 თებერვლამდე უზრუნველყოს რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემის სრული კომპლექტაციის შეძენის სატენდერო წინადადების მომზადება და წარმოდგენა;

5. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 01 მარტამდე პერიოდი;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს(ი. ხარებავა).

**საფუძველი:** 2014 წლის 03 ნოემბრის კომისიის აპარატის თათბირის N 25 ოქმის მე-10 პუნქტი (ასლი თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე